







საქართველოს კინემატოგრაფიის  
ეროვნული ცენტრი  
Georgian National  
Film Center

# ცნობის ფურცელი

№1, 2017





## კონკურსები

1. 2017 წლის 3 თებერვალს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2018 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 1000 000 ლარი).  
პროექტების შემოტანა დასრულდა: 2017 წლის 26 აპრილს.
2. 2017 წლის 8 თებერვალს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის 2017 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 300 000 ლარი),  
პროექტების შემოტანა დასრულდა: 2017 წლის 3 აპრილს.
3. 2017 წლის 10 მარტს გამოცხადდა ეროვნული კინოცენტრის, ანსის და ნიქოზის საერთაშორისო კინოფესტივალების ერთობლივი კონკურსი მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარებაზე.  
პროექტების შემოტანა დასრულდა: 2017 წლის 4 აპრილს.

## მოსამზადებელ პერიოდშია:

- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უარყოფითი რიცხვები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მაგნეტ ფილმს“ დირექტორი - დავით ისაკაძე, რეჟისორი - უტა ბერია).
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კაცი“ (პროდიუსერი - შპს „სინემაგია“, დირექტორი - გიორგი კაჭარავა, რეჟისორი - გიორგი კაჭარავა).
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფილმსი“, დირექტორი - დავით აბრამიშვილი, რეჟისორი - დავით აბრამიშვილი).
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზამთრის დეპრესია“ ( შპს „Film Asylum“ , დირექტორი - ნიკა გუგუშვილი, რეჟისორი - თამაზ ნარიშკიძე).
- მცირებიუჯეტიანი მხატვრული ფილმი „ომობანა“ (პროდიუსერი - შპს „სტენლი“, დირექტორი - ალექსანდრე დარახველიძე, რეჟისორი - ირაკლი ჩხიკვაძე).
- მცირებიუჯეტიანი მხატვრული ფილმი „დორი“ (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - გიგა ლიკლიკაძე).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „როცა პეპელები იწყებენ ფრენას“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - ბექარ ჯგუბურია).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი „სატრფიალო პასტორალი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „თთფილმი“, დირექტორი - თამარ გურჩიანი, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩუბჩიკა“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/მეწარმე რატი რეხვიაშვილი, რეჟისორი - ალექსანდრე რეხვიაშვილი).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ერთი ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი დღე“ საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტ ფაბრიკა“ დირექტორი - თამაზ ორაშვილი, რეჟისორი - გიორგი შენგელაია).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პამპულობანა“, (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მილიმეტრ ფილმი“ დირექტორი - დავით უჯმაჯურიძე, რეჟისორი - ამირან დოლიძე).

## ბადაღების პერიოდშია:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კინო იბერიკა“, დირექტორი - ლევან კოლუაშვილი, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი).
- ერთობლივი ქართულ - უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმოცდასამი 43“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინეტექი“ დირექტორი - რუსუდან გლურჯიძე, რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე).

## მონტაჟის პერიოდში:

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დედგმა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ბი-აი-თი სტუდიო“ დირექტორი მარიამ ბიწაძე, რეჟისორი - ანა კვიჭიძე;)
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი – „ისტორია საოჯახო ალბომიდან“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი - ანა მიაპშიძე, რეჟისორი - ანა მიაპშიძე).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი „სანამ მამა დაბრუნდება“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ნუში ფილმი“, დირექტორი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი - მარიამ გულბიანი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი „აბასთუმანი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „კავშირი ოპიოდოკი“, დირექტორი მარიამ ჭაჭია, რეჟისორი - მარიამ ჭაჭია, ნიკ ვოიგთი).
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეზობლები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“, დირექტორი - ლაშა ხალვაში, რეჟისორი - გრიგოლ აბაშიძე).
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „საშიში დედა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“ დირექტორი - ლაშა ხალვაში, რეჟისორი - ანა ურუშაძე).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაბანა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „Film Asylum“ დირექტორი ვალერიან კირკიტაძე, რეჟისორი - გიგა ბაინდურაშვილი).
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნამე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზაზა ხალვაში, რეჟისორი - ზაზა ხალვაში).
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჰორიზონტი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ჯემინი“ დირექტორი - თინათინ ყაჯრიშვილი, რეჟისორი - თინათინ ყაჯრიშვილი).
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ზოლემია“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/საწარმო „ქეთევან ჯანელიძე“, მხატვარ/ანიმატორი - ნინა სამანიშვილი).

“მეთევზე და გოგონა”



“მეზობლები”







“მბევლები”



“ზოლემია”

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღლუმი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ახალი ქართული ფილმი“, დირექტორი - ნიკა აბრამაშვილი, რეჟისორი - ნინო ჟვანია).
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე).
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უცხო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მილიმეტრი“ დირექტორი - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - დიმიტრი მამულია).
- სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუს“-ი (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ო“, რეჟისორი - ოთარ შამათავა).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, დირექტორი - ივანე არსენიშვილი, რეჟისორი - ნინო ორჯონიკიძე, ივანე არსენიშვილი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „პიონერთა სასახლე“ (პროდიუსერი - ააიპ „Matchhouse Film“ დირექტორი - ანა ციმინტია, რეჟისორი - ანა ციმინტია).
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მეთევზე და გოგონა“ (პროდიუსერი - შპს 20 Steps Productions დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - მამუკა ტყეშელაშვილი).
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“, დირექტორი - გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მოწამლულები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია 99“, დირექტორი - კარინე სარდლიშვილი, რეჟისორი - თამარ ბართაია).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კახეთის მატარებელი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა ფროდაქშენი“ დირექტორი - ლალი კიკნაველიძე, რეჟისორი - ლალი კიკნაველიძე).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მისტერ ჯონსონ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - თამარ მშვენიერაძე).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).

## დასრულდა:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „Polare Film“, დირექტორი - ნანა ექვთიმიშვილი, რეჟისორები - ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროსი).
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზიზულა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ალამდარი“ დირექტორი - ნინო დევდარიანი, რეჟისორი - გიორგი ოვაშვილი).
- ერთობლივი ქართულ-უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მძევლები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „20 Steps Productions“, დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - რევაზ გიგინეიშვილი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მზის ქალაქი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ონელი ფილმ ასოციაცია“ დირექტორი - რატი (ონელი) ჯგბაშვილი, რეჟისორი - რატი (ონელი) ჯგბაშვილი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დიდუბე, ბოლო გაჩერება“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „რეალ ი-თი ფილმსი“ დირექტორი - ნიკოლოზ გოგოჭური, რეჟისორი - შორენა თევზაძე).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ვსაუბრობთ ფულზე“ (პროდიუსერი - შპს „ზაზარ ფილმი“, დირექტორი - ზაზა რუსაძე, რეჟისორი - სებასტიან ვინკელსი, ზაზა რუსაძე).

## განვითარდა:

- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „მეფე“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“ დირექტორი - ირაკლი სოლომანაშვილი, სცენარის ავტორი - ირაკლი სოლომანაშვილი).

„ჩემი ბედნიერი ოჯახი“



„ზიზულა“





## საქართველო ბერლინის 67-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე

ეროვნული კინოცენტრი ბერლინალეს ფარგლებში ორგანიზებულ ევროპული კინოს ბაზრობაზე მეთორმეტედ იყო წარმოდგენილი. საქართველოს სტენდზე მუშაობდნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი, კინოექსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით ვაშაძე, პროექტების მენეჯერი ნინო შერვაშიძე და ანიმაციური ფილმების პროდიუსერი მარიამ კანდელაკი.

ასევე, საქართველოს სტენდზე დაფინანსების მოძიების მიზნით უცხოელ პროდიუსერებთან შეხვედრები გამართეს გელა ხმაღაძემ და ირაკლი მინდაძემ ეროვნული კინოცენტრის მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის კონკურსის გამარჯვებული პროექტისთვის “ინგა” და ლუკა ჯუღელმა და გიორგი თოდრიამ მათი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტისთვის, რომელიც ამჟამად მუშაობის პროცესშია.

ბერლინის პრესტიჟულ კინოფესტივალზე წელს საქართველო მასშტაბურად, 5 ფილმით იყო წარმოდგენილი. ხუთივე ფილმი ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერითაა შექმნილი.

ბერლინალეზე, სექციაში Panorama Special შედგა რეზო გიგინეიშვილის ფილმის „მძევლები“ მსოფლიო პრემიერა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ფილმი ქართული და პოლონური კინოცენტრების ერთობლივი დაფინანსებით შეიქმნა. ფილმის პრემიერას საერთაშორისო პრესაში დადებითი გამოხმაურება მოჰყვა.

სანდენსის კინოფესტივალის შემდეგ, ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმის “ჩემი ბედნიერი ოჯახი” ევროპული პრემიერა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე სექციაში Forum წარმატებით გაიმართა.

ამავე სექციის Forum კიდეც ერთი აღმოჩენა გახდა რატი ონელის დოკუმენტური ფილმი „მზის ქალაქი“, რომელიც ჭიათურაში მცხოვრები ადამიანების ისტორიებს მოგვითხრობს. აღსანიშნავია, რომ “მზის ქალაქი” ნომინირებული იყო ბერლინალეს Glashütte Original ჯილდოზე, როგორც ორიგინალური დოკუმენტური ნამუშევარი.

რამდენიმე წლიანი პაუზის შემდეგ ბერლინალეზე ქართული ანიმაციური ფილმი კვლავ აჩვენეს. ნათია ნიკოლაშვილის ფილმის “ლილე” პრემიერა სექციაში Generation გაიმართა.





კიდევ ერთი სექცია, რომელშიც ქართულმა ფილმმა მიიღო მონაწილეობას არის LOLA at Berlinale, სადაც შემოსავლებისა და მოპოვებული პრიზების მიხედვით საუკეთესო გერმანულ ფილმებს აჩვენებენ. რჩეულებს შორის წელს დიტო ცინცაძის ქართულ-ფრანგულ-გერმანული კოპროდუქცია “ბედნიერების ღმერთი” (2015) მოხვდა!

## საქართველო ბერლინალეს კოპროდუქციის ბაზრობის ფოკუსში

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კინოპლატფორმაზე, რომელსაც 600-ამდე წამყვანი პროდიუსერი ესწრება მთელი მსოფლიოდან, საქართველოს, როგორც მიმზიდველი გადასაღები ქვეყნის წარდგენა მოხდა. ამას გარდა, დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა მიეღო ინფორმაცია ქართული ფილმწარმოებისა და საქართველოსთან განხორციელებული კოპროდუქციების შესახებ. კოპროდუქციის ბაზრობაზე მონაწილეობდნენ ქართველი პროდიუსერები: ამირან დოლიძე, ირაკლი ჩიკვაძე, ირაკლი მინდაძე, ლუკა ჯუღელი და ქეთი დანელია.

კინოფესტივალის ფარგლებში მოეწყო ე.წ. ქვეყნის სესიები (country sessions) 5 ქვეყნის კინოცენტრების მონაწილეობით, სადაც საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა მიიღო მონაწილეობა და აუდიტორიას მისი მუშაობის გამოცდილება გაუზიარა.

## პარტნიორობის მემორანდუმი დრეზდენის საერთაშორისო კინოფესტივალთან

ბერლინში ნიქოზისა და დრეზდენის საერთაშორისო კინოფესტივალებს შორის პარტნიორობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის გაფორმება კინოფესტივალებს შორის 6 წლიან თანამშრომლობას მოჰყვა, რაც ნიქოზის კინოფესტივალის მორიგი აღიარებაა ევროპულ ბაზარზე. საქართველო-გერმანიის მეგობრობის წელთან დაკავშირებით, დრეზდენის კინოფესტივალმა 2 ქართულ მოკლემეტრაჟიან ფილმს წარადგენს საკონკურსო პროგრამაში. ამასგარდა, დრეზდენში ქართული თანამედროვე ანიმაციის პროგრამა იქნება ნაჩვენები. მანამდე კი სექტემბრის თვეში ნიქოზის კინოფესტივალმა უმასპინძლებს დრეზდენის ფესტივალის პროგრამებს.



## შეხვედრა “არსენალთან”

კინოფესტივალის ფარგლებში საქართველოს სტენდზე გაიმართა სამუშაო შეხვედრა გერმანიაში კინოსა და ვიდეოარტის ინსტიტუტის “არსენალი” წარმომადგენელთან - გეზა კნოდელთან და გერმანიის კინომუზეუმის წარმომადგენელთან ნატაშა გიკასთან.

საქართველო-გერმანიის მეგობრობის წელთან დაკავშირებით 2017 წლის შემოდგომაზე ბერლინში იგეგმება ქართული ფილმების დიდი რეტროსპექტივის მოწყობა. რეტროსპექტივის პროგრამას ქართულ მხარესთან ერთად “არსენალის” და გერმანიის კინომუზეუმის წარმომადგენლები შეადგენენ.

აღსანიშნავია, რომ ბერლინის კინემატოგრაფიის ინსტიტუტმა “არსენალი” გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით უკვე გამოყო 100.000.00 ევრო და დაიწყო სამი ქართული ფილმის ციფრულ ფორმატში გადატანა და რესტავრაცია.

## ფრანქფურტის წიგნის ბაზრობა (2018) - მასპინძელი ქვეყანა საქართველო

შეხვედრისას ასევე დაიგეგმა 2018 წელს ფრანქფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს ეროვნული კინოცენტრისა და გერმანიის კინომუზეუმის ორგანიზებით კინოჩვენებების მოწყობა. მოლაპარაკებებში ჩართული იყო საქართველოს საელჩო გერმანიაში.

## შეხვედრები საერთაშორისო კინოფესტივალების წარმომადგენლებთან:

ევროპული კინობაზრობის მიმდინარეობისას გაიმართა მოლაპარაკებები სხვადასხვა კინოფესტივალის წარმომადგენლებთან, რომელთაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს ქართული ფილმების მიმართ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შეხვედრები მსოფლიოს ისეთი წამყვანი კინოფესტივალების წარმომადგენლებთან, როგორებიცაა სან სებასტიანისა და კარლოვი ვარის კინოფესტივალები.



## სან სებასტიანის კინოფესტივალი

გასულ წლებში ქართული ფილმები წარმატებით იღებდნენ მონაწილეობას სან სებასტიანის კინოფესტივალზე. ეროვნული კინოცენტრის კინოექსპორტის დეპარტამენტის უფროსი დავით ვაშაძე შეხვდა კინოფესტივალის პროგრამერს რობერტო კუერტოს და დაიგეგმა ქართული ფილმების შერჩევა სან სებასტიანის კინოფესტივალის 2017 წლის პროგრამისთვის.

## კარლოვი ვარის კინოფესტივალი

ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა ზურაბ მაღალაშვილმა შეხვედრა გამართა კარლოვი ვარის კინოფესტივალის დირექტორთან კარელ ოხთან. შეხვედრაზე დაიგეგმა კარელ ოხის სამუშაო ვიზიტით ჩამოსვლა საქართველოში, რაც ფესტივალის პროგრამისთვის ახალი ქართული ფილმების შერჩევას ისახავდა მიზნად.

კარელ ოხის ვიზიტი საქართველოში 20-22 მარტს შედგა. კარლოვი ვარის კინოფესტივალის დირექტორი ქართულ ფილმებს გაეცნო და კინოსექტორის წარმომადგენლებს შეხვდა.

## "ჩემი ბედნიერი ოჯახი" სოფიას კინოფესტივალის პრიზიორია

სანდენსისა და ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალების შემდეგ, ქართული ფილმი "ჩემი ბედნიერი ოჯახი" სოფიას საერთაშორისო კინოფესტივალზე მონაწილეობდა, სადაც იგი საუკეთესო რეჟისურისთვის დაჯილდოვდა.

პრიზი ფილმის რეჟისორებს ნანა ექვთიმიშვილსა და სიმონ გროსს გადაეცათ.

სოფიას კინოფესტივალი 9-19 მარტს გაიმართა. კინოფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში ქართულ ფილმთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სულ ცამეტი მხატვრული ფილმი იყო წარდგენილი.

"ჩემი ბედნიერი ოჯახი" პირველი ქართული ფილმია, რომლის გლობალური დისტრიბუციის უფლებები კომპანია "ნეტფლიქსმა" შეიძინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფილმი მსოფლიოს 130 ქვეყანაში საერთაშორისო მაყურებლისათვის ხელმისაწვდომი გახდება. "ნეტფლიქსის" პრემიერამდე კი 2017 წელს ფილმის „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ ნახვას მაყურებელი საფრანგეთის, გერმანიისა და საქართველოს კინოეკრანებზე შეძლებს.

## სალომე ჯაში ზაგრების დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებულია

სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმი “დაისის მიზიდულობა” მორიგი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი გახდა. “დაისის მიზიდულობა” ზაგრების დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის მთავარ კონკურსში მოხვდა, სადაც საუკეთესო ფილმად აღიარეს და ჯილდო Big Stamp გადასცეს.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალზე კიდევ ერთი ქართული ფილმი, ლევან კოლუაშვილის - “გოგიტას ახალი ცხოვრება” აჩვენეს. ფილმის მსოფლიო პრემიერა ამსტერდამის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე IDFA შედგა.

ზაგრების დოკუმენტური ფილმების ფესტივალი ხორვატიაში 2005 წლიდან ტარდება და იგი მაყურებელს ყოველწლიურად სთავაზობს საუკეთესო კრეატიულ დოკუმენტურ ფილმებს სხვადასხვა ქვეყნიდან.



## ქართული ანიმაციური ფილმი “ჯიბის კაცი” მონრეალის კინოფესტივალზე 2 ჯილდოს მფლობელი გახდა

ნიუ-იორკში საერთაშორისო პრემიერის შემდეგ ანა ჩუბინიძის ანიმაციური ფილმი “ჯიბის კაცი” კანადაში, მონრეალის საერთაშორისო კინოფესტივალზე 2 ჯილდოს მფლობელი გახდა. “ჯიბის კაცი” საუკეთესო მოკლემეტრაჟიან ფილმად აღიარეს და ასევე, ფილმს ახალგაზრდულმა ჟიურმა სპეციალური პრიზი მიანიჭა.

“ჯიბის კაცი” პირველი ქართულ-ფრანგული კოპროდუქციაა ანიმაციაში, რომელიც ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა.

ფილმი პატარა კაცის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ჩემოდანში ცხოვრობს. უსინათლო მოხუცთან შეხვედრის შემდეგ კი იგი მის ჯიბეში აგრძელებს ცხოვრებას. ეს არის ამბავი მეგობრობაზე და ერთმანეთის დახმარებაზე.

## 2 ქართული ანიმაციური ფილმი ანსის კინოფესტივალზე

წელს ანსის საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში ერთდროულად 2 ქართული ანიმაცია იქნება წარმოდგენილი : დათო კიკნაველიძის "ჯინო" და ანა ჩუბინიძის "ჯიბის კაცი".

"ჯინო" პირველი ქართული 3D ანიმაციაა, რომელიც ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. "ჯიბის კაცი" კი პირველი ქართულ-ფრანგული კოპროდუქციაა.

ანსის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი 1960 წელს დაარსდა და იგი ანიმაციური ფილმების ერთ-ერთ ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან ფესტივალად ითვლება. ფესტივალთან თანამშრომლობის მიუხედავად, ანსის კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში აქამდე ქართული ანიმაციური ფილმები არასდროს მოხვედრილა.

## “სხვისი სახლი” ლუქსემბურგის საერთაშორისო კინოფესტივალზე

რუსუდან გლურჯიძის არაერთი ჯილდოს მფლობელი ფილმი "სხვისი სახლი" ლუქსემბურგის საერთაშორისო კინოფესტივალზე აჩვენეს. ფილმი ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში იღებდა მონაწილეობას.

"სხვისი სახლი" ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია, რომელსაც უკვე აქვს მოპოვებული არაერთი საერთაშორისო ჯილდო, მათ შორის მთავარი პრიზები კარლოვი ვარის, ბერგენის, ევრაზიისა და თბილისის საერთაშორისო ფესტივალებზე. ფილმი ასევე დაჯილდოვებულია პრესტიჟული ჯილდოთი Satellite საუკეთესო სადებიუტო ნამუშევრისთვის და Spotlight Award-ით საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის.

## ქართული ფილმები როტერდამის საერთაშორისო კინოფესტივალზე

როტერდამის საერთაშორისო კინოფესტივალზე წელს 2 ქართული ფილმი აჩვენეს - იოსებ (სოსო) ბლიაძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი "სამი საფეხური" და დეა კულუმბეგაშვილის მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ლეთა".

როტერდამის კინოფესტივალი 1972 წელს დაარსდა და მას შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კინომოვლენად ითვლება.





## ქართული ფილმები ტრიესტის საერთაშორისო კინოფესტივალზე

ტრიესტის საერთაშორისო კინოფესტივალზე საქართველო 2 ფილმით იყო წარმოდგენილი.

კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების მთავარ კონკურსში მონაწილეობას იღებდა დეა კულუმბეგაშვილის მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ლეთა". პროგრამაში Born In Trieste კი შედგა ალექსანდრე კვატაშიძის დოკუმენტური ფილმის "ჩეჩნეთის გზაჯვარედინი" ჩვენება.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე კვატაშიძის ფილმის და ტრიესტის კინოფესტივალის თანამშრომლობა ჯერ კიდევ პროექტის განვითარების ეტაპიდან დაიწყო. სექციაში Last Stop Trieste, სადაც მონტაჟის ეტაპზე მყოფი ფილმები იყო წარმოდგენილი, ალექსანდრე კვატაშიძის ნამუშევარი HBO Europe Award - ის მფლობელი გახდა.

აქედან გამომდინარე მოხდა ფილმის "ჩეჩნეთის გზაჯვარედინი" პროგრამაში Born In Trieste წარდგენა, რადგან ფილმის საერთაშორისო ისტორია სწორედ ტრიესტეში დაიწყო.



## ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში MOMA 2 ქართული ფილმის ჩვენება შედგა

15-26 მარტს ნიუ იორკი კინოფესტივალის New Directors/New Films 46-ე გამოშვებას მასპინძლობდა. ტრადიციულად ფესტივალმა თავი მოუყარა ახალგაზრდა, წარმატებულ რეჟისორებს და ისინი დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა.

წელს კინოფესტივალზე 2 ქართული ფილმი იყო წარმოდგენილი - ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის "ჩემი ბედნიერი ოჯახი" და დეა კულუმბეგაშვილის მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ლეთა".

ქართული ფილმების ჩვენება ნიუ იორკში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში MoMA გაიმართა.



## GOEAST ქართულ ფილმებს უმასპინძლებს

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფილმების საერთაშორისო ფესტივალი goEast ქართულ ფილმებს უმასპინძლებს. კინოფესტივალი გერმანიაში 26 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით გაიმართება და მასზე არაერთი ქართული ფილმი იქნება წარმოდგენილი.

goEast ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის მხატვრული ფილმით "ჩემი ბედნიერი ოჯახი" გახსნება. კინოფესტივალზე ნახვენ რატი ონელის დოკუმენტურ ნამუშევარს "მზის ქალაქი". ფესტივალზე ასევე ნაჩვენებია იქნება პირველი ქართველი ქალი რეჟისორის, ნუცა ღოღობერიძის ფილმი "ბუბა", ლანა ღოღობერიძის ფილმი "რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე" და ნუცა ალქესი-მესხიშვილის ფილმი "ბედნიერება".

კინოფესტივალის goEast ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა ქართველი რეჟისორები. ელენე მიქაბერიძე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტით "სასაზღვრო თამაშები" შერჩეულია ვორჟშოპისთვის Young Filmmakers for Peace, ხოლო იოსებ "სოსო" ბლიაძე მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტს "სერიოზული კაცი" წარადგენს "East-West Talant Lab"-ში.

## ქართული ფილმი "ანას ცხოვრება" საფესტივალო კარიერას ავსტრიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში განაგრძობს

ნინო ბასილიას არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი ფილმი "ანას ცხოვრება" საფესტივალო კარიერას ავსტრიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში განაგრძობს.

ვენაში კინოფესტივალი Let's see festival 21-27 მარტს ჩატარდა, ლოს ანჯელესში კი კინოფესტივალი SEE festival - South Eastern European 26 აპრილიდან 4 მაისის ჩათვლით გაიმართება.

ორივე ფესტივალზე "ანას ცხოვრება" ძირითად საკონკურსო პროგრამაშია

### ქართული ფილმი “სხვისი სახლი” პრესის საერთაშორისო აკადემიის პრესტიჟული ჯილდოს “სატელიტი” მფლობელი გახდა

ლოს ანჯელესში პრესის საერთაშორისო აკადემიის რჩეულები გამოავლინეს. სხვადასხვა ნომინაციაში დაჯილდოვდნენ ისეთი ცნობილი და აღიარებული ფილმები როგორებიცაა La La Land, Moonlight, The Salesman, Manchester by the Sea, Jackie, Hacksaw Ridge, Elle და ა.შ.

საუკეთესო დებიუტისთვის კი “სატელიტი” ქართველ რეჟისორს, რუსუდან გლურჯიძეს გადასცეს ფილმისთვის “სხვისი სახლი”.

პრესის საერთაშორისო აკადემია გლობალური ასოციაციაა, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე პროფესიონალი ჟურნალისტებისგან არის დაკომპლექტებული.

“სატელიტის” ჯილდო 1996 წლიდან გაიცემა და იგი ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოდ ითვლება.



### გორკა გომეს ანდრეუ SPOTLIGHT AWARD-ის მფლობელი გახდა

24 თებერვალს ლოს ანჯელესში Outstanding Achievement Awards-ის დაჯილდოვების ცერემონიალი 31-ედ გაიმართა.

პრესტიჟულ ჯილდოს ამერიკელ კინოოპერატორთა საზოგადოება ყოველწლიურად გაცემს.

ერთ-ერთ ჯილდოსთვის Spotlight Award 3 სხვა ნომინანტთან ერთად იბრძოდა ოპერატორი გორკა გომეს ანდრეუ ფილმისთვის “სხვისი სახლი”, რომელმაც ნომინაციაში გამარჯვება და ჯილდოს მოპოვება შეძლო.






### პრემია „ნიკა“

28 მარტს მოსკოვში ყველაზე პრესტიჟული კინოპრემიის „ნიკას“ დაჯილდოების საზეიმო ცერემონია 30-ედ გაიმართა, სადაც რუსუდან გლურჯიძის „სხვისი სახლი“ მორიგი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი გახდა. მას პრემია „ნიკა“ ნომინაციაში - დსთ-ს და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფილმი გადაეცა.

### კონსტანტინე მინდია ესაბე რუსეთის კინოოპერატორთა გილდიის რჩეულია

რუსეთის კინოოპერატორთა გილდიამ კინემატოგრაფიული დებიუტების ფესტივალზე Spirit of Fire გამარჯვებულები გამოავლინა. ჯილდო ფილმში „წითელი“ (რეჟისორი: ნიკ სარქისოვი) საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის ქართველ კინოოპერატორ კონსტანტინე მინდია ესაბეს ხვდა წილად. კინოფესტივალი Spirit of Fire წელს 15-ედ ჩატარდა.





### საქართველოში სამუშაო ვიზიტით პროექტის „კინო სკოლაში“ ბრიტანელი პარტნიორი მარკ ჰაიემი ჩამოვიდა

20 იანვარს საქართველოში პროექტის „კინო სკოლაში“ პარტნიორი ბრიტანული ორგანიზაციის ხელმძღვანელი მარკ ჰაიემი ჩამოვიდა. ჰაიემი განათლების ექსპერტია, რომელიც წლებია უძღვება საერთაშორისო პროექტებს კულტურული განათლების მხარდასაჭერად.

მარკ ჰაიემმა შეხვედრები გამართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრებთან, ეროვნული კინოცენტრის დირექტორთან და პროექტზე მომუშავე ჯგუფთან.

2016 წელს პროექტმა „კინო სკოლაში“ ევროკავშირის პროგრამის Creative Europe დაფინანსება მიიღო და მისი პარტნიორები ბრიტანული ორგანიზაცია „FILM LITERACY EUROPE LIMITED“ და ლიტვისა და ლატვიის კინოცენტრები გახდნენ.

პარტნიორებთან თანამშრომლობის შედეგად მოხდება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ქართული და უცხოური ფილმების ვებ პორტალის შექმნა, სასწავლო მასალების მოწოდება, მიმდინარე პროცესების მუდმივი მონიტორინგი და პროექტის განვითარებისთვის სპეციალური რეკომენდაციების შემუშავება.



### “პალიტრა მედია” ქართული კინოს მხარდასაჭერად

საქართველოში ყველაზე მსხვილი მულტიმედია ჰოლდინგი “პალიტრა მედია” ქართული კინოს მხარდაჭერას იწყებს. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ეროვნულ კინოცენტრსა და “პალიტრა მედიას” შორის უკვე ხელმოწერილია.

ჰოლდინგი აქამდეც აშუქებდა მნიშვნელოვან სიახლეებს ქართველი კინემატოგრაფისტების წარმატებების შესახებ, მაგრამ ახლა თანამშრომლობა უფრო აქტიური და ნაყოფიერი იქნება და მნიშვნელოვან ამბებს გააშქებს Ambebi.ge, allnews.ge, reitingi.ge, ipn.ge.

“პალიტრა მედია” ეროვნული კინოცენტრის ახალ პროექტშიც ჩაერთვება, რომლის წარდგენაც სულ მალე იგეგმება.

[www.gnfc.ge](http://www.gnfc.ge)



საქართველოს კინემატოგრაფიის  
ეროვნული ცენტრი  
Georgian National  
Film Center

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4  
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00  
ფაქსი: +995 32 299 91 02

[info@gnfc.ge](mailto:info@gnfc.ge)

[www.gnfc.ge](http://www.gnfc.ge)

[www.filmcommission.ge](http://www.filmcommission.ge)